

ვლადიმერ სნეგურჩენკო

ჩრდილოეთის ციალი

პიესა

(თანამედროვე დრამატურგიის IV საერთაშორისო კონკურსის „თავისუფალი თეატრი“, გრან-პრი)

რუსულიდან თარგმნა ლიკა ჭელიძემ

ამოღამებული თვალეები... განთიადის შესახვედრად მივდივარ... მე ველაპარაკები ისეთივეს, როგორც მე ვარ... ჩემი მუდმივი თანამოსაუბრეა ტვინი, თანამედროვეობითა და ისტორიის შტამპებით გაჟღენთილი,

და მე, ბუდაზე უფრო მაღლა რომ ვარ...

უფრო მაღლა და სულიერებით უფრო მაღალი, ვიდრე გაუტამა ბუდა.

მე მოვლენების ნაღებს ვშთანთქავ და დღის ქაფს ვლოკავ..

იმ ღამეში, სადაც სიბრძნის სახურავია, სადაც ჩემს საიდუმლო მუზას სძინავს, სძინავს

როგორც მსუქან დედა ღორს, როგორც პეპელას ჭურჭელში...

ანტენა... ანტენა... რადიოსიგნალები...

ოცსართულიანი სახლი ჩემს ფეხებ ქვეშ..

გაუტამა, მე შენზე მაღლა ვარ,

შესვი სითხე, გაუტამა!

.....

მე უკვე 20 წელია არ ვიღვიძებ,

თითოეული ტყვია კი - ეს ერის საგანძურისტყვიებია...

ეკვატორის ნაპირებთან,

მკერდზე,

მკერდი კუს ბაკანზეა,

მე ინდონეზიასოფლითა და ვისკით ვახრჩობ!

ფსიქოდელის დოზებითა და გაუტამას მამულებში ექსკურსიების სიხარულით.

მდინარეებო! დინების საწინააღმდეგოდ მოექცეცით!

წუთები სეტყვასავით იყრება.

სეტყვასავით ედება ხორბლის ყანებს ხელოვნური შიმშილით.

სტალინი ითოხლავით, სტალინი ითოხლავით, ძმებო!

შეხედეთ, ბავშვებმა საშოდან კუჭში გადაინაცვლეს!

შეხედეთ! ჯერ არ დაბადებულმა ბავშვებმა საშოდან კუჭში გადაინაცვლეს!

სტალინი ითოხლავით, ნაბიჭვრებო!

დედამ რაღა ქნას?

და და

ქალწულმა მარიამმა?

და და

რა უნდა ქნას ქალმა, რომელსაც საშოში ჰიტლერი ჰყავს?!

რა უნდა ქნას ქალმა, რომელსაც საშოში პატარა ჰიტლერი ჰყავს?!

მე კი ვიღვიძებ, მე ვიღვიძებ!

20 წელი გავიდა!

დედა!

20 წელი!

მე კი უკვე ბებერი ვარ!

დედა!

მე ბებრუხანა ვარ, ასეთები სამეზნელია.

დამპალი ისტორია, დედა, 20 წელი, მე კი შენზე უფროსი ვარ.

ჩამარხეთ საკუთარი შვილები, ჩამარხეთ საკუთარი პირმშობი!

მათთვის ბევრი სიცოცხლე აღმოჩნდა!

სიყვარულის შედეგად გაჩენილები, 20 წლის ასაკში უნდა მოკვდნენ, რომ არ გაიღვიძონ.

- **დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ**
- **დაიბინე ჩემო ბიჭუნავ, ხვალ სკოლაში წახვალ**

ბიჭი სკოლაში წავიდა, და სულიერი განვითარების სკოლა მოიტანა...

სულიერი განვითარებისა ანი-დან ჰაე-მდე..

სკოლის მწვერვალი - ეს არის ადამიანის კანისგან ხელთათმანების შექმნის უნარი,

ადამიანის კანისგან ხელთათმანების შექმნის უნარი..

- **დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ**
- **დაიბინე ჩემო ბიჭუნავ, მამიკო მოკლეს, ოჯახში მამის მაგივრობას გაწევ**

მომესიყვარულე შვილო, მე შენი

დედა ვარ დედა დედა

მე დედა სამშობლო ვარ!

მომესიყვარულე შვილო, ყველა პოზაში.

მე დედა სამშობლო ვარ!

ინცესტი - ეს, ჩემო ბიჭუნავ, ღმერთისგანაა.

.....ინცესტის შედეგად ბედნიერი ბავშვები იბადებიან,.....

შენც, ჩემო ბიჭუნავ, ასე ხარ დაბადებული... შენ ყველაზე ბედნიერი იქნები, მე შენ გპირდები_ მე შენ გპირდები_

გპირდები_

- **დედა, რა არის ომი?**
- **ომი, შვილო - ეს არის როცა**
-

შენ გჟიმავენ, შენ კი ჰააგის სასამართლოში სარჩელი შეგაქვს იმის შესახებ, რომ ცუდად გაგჟიმეს.....

- **დედა, ჰააგის სასამართლო რა არის?**

- **დაიძინე, შვილო.**

იცვი, წუთები სეტყვასავით იყრება,

დღეები წვიმასავით მოდის,

წლები კი ნისლივით იდება.

დაიძინე, და და

და ჩრდილოეთის ციალს ნახავ.

დედა კი ყველაფერს დაგიკოცნის, ყველაფერს,,,

და შენ ყველაზე მდიდარი გაიზრდები და ყველაზე საყვარელი. და აჭმევ დედას, და მოუვლი დედას, როცა დაბერდება.

მე შენ რისთვის გზრდი? რისთვის?

რომ დედა გიყვარდეს! ყველაფერს უყვებოდე მას!

მე ხომ დედაშენი ვარ მე ხომ დედაშენი ვარ დედა.

.....**20 წელი, დედა.. მე უკვე წვერს ვიპარსავ.. მე ავლანეთიდან დავბრუნდი... მე ცოცხალი ვარ და მინდა მოგეხვიო...**

დედამ ტუჩებში კოცნა მასწავლა,

და ყველა თავისი ინტიმური ადგილის შესახებ მიაჩნო,

ყველა თავისი მშვენების შესახებ,

ის ამას ასე ეძახის -

მშვენება!

დედა ამბობს, რომ ადრე მე პატარა მაიმუნი ვიყავი, შემდე კი ადამიანი გავხდი.

...მაგრამ მე სქელ ნაბიჭვრად გავიზარდე....

ბავშვობაში კი! მე ვიყავი! ძალიან! კარგი!

კარგი

პატარა მაიმუნი ვიყავი,

დედიკოს მაიმუნი,

ყველა ბავშვი ბავშვობაში

ძალიან კარგია,

პატარა მაიმუნები,

პატარა ბეჭემოტები და პატარა ლეკვები.

ჩემი პირველი სიტყვა,

რომლის გამოთქმაც ვისწავლე,

იყო სიტყვა **მინდა**

მეორე კი - **მე დედა მინდა.**

მაგრამ

.....20 წლის ასაკში მე დედა მივატოვე, სამუდამოდ მივატოვე.....

და ეხლა

მე მას მხოლოდ შორიდან ვგრძნობ.

დედა, მაპატიე,

მაგრამ მე კაცი გავხდი.

შენ კი - დედაჩემი ხარ,

და ჩვენს შორის ველარაფერი ველარ მოხდება.

სწორი არ არის- საკუთარ დედასთან გეძინოს...

მე ამას მივხვდი,

იქ, ავღანეთში,

როდესაც პისტოლეტის ლულა შემთხარეს პირში, და მითხრეს, საკუთარ დედასთან მეტს აღარ დაიძინებო, იმიტომ რომ ეს კარგი არ არისო.

და მაშინ მივხვდი, რომ ეს ცუდი იყო. შემდეგ კი მითხრეს, ზოგ ბიჭს 40 წლამდეც თავის დედასთან ძინავთ, ეს იმიტომ, რომ **ისინი ავღანეთში არ ყოფილან.**

- **დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ**
- **დაიძინე, შვილო, ნემსს გაგიკეთებ და ყველაფერი გაგივლის.**

ჯერჯერობით კი აბი გადაყლაპე,აი, და წყალი დააყოლე. მხოლოდ ანადუღარი წყალი დალიე. ონკანის წყლის სმა არ შეიძლება. ონკანის წყალს მხოლოდ უპატრონო ძაღლები სვამენ.

შენ ძაღლი ხომ არა ხარ,
შენ პატარა სიმპათიური გაუგონარი მაიმუნი ხარ.
როცა დედიკო 8 წლის იყო,
ისიც აბებს სვამდა.
ის საუკეთესო ექიმებთან დაყავდათ,

.....მაგრამ მხოლოდ ერთმა დედაბერმა უშველა.....

რომელმაც კვერცხზე შეულოცა.
მას შემდეგ ის ავად აღარ გამხდარა.
ის დედაბერი ამბობს,
რომ მე ცხენივით ჯანმრთელი ვარ,
ნაჩუქარ ცხენს კი კბილებს არ უმოწმებენო.

ამით რისი თქმა უნდოდა?

გაუგებარია.
უბრალოდ დედა ყოველთვის ცდოლობდა რაიმე ესწავლებინა ჩემთვის.
ოღონდ მე მას დედაბერთან არ წავუყვანივარ კვერცხზე შესალოცად.
ამბობს, რომ დედაბრების არ სჯერა.

მედიცინა კი - ეს სულ სხვა რამეა, მედიცინა დღესდღეობით უმაღლეს დონეზეა, ისე კი არაა, ჩვენს დროს რომ იყო. წამალი ყველანაირი გემოვნებისთვის არსებობს და ყველანაირი სახსრების მქონესთვის არის, ნებისმიერი ასაკისთვის და ყველა დაავადების სამკურნალოდ. აი, მაგალითად, აბები, მკაცრად 17-დან 20 წლამდე. და თუკი მე 20 წლის და ერთი დღის ვარ? მაშინ ექიმთან კონსულტაცია უნდა გაიარო, ან სხვა პრეპარატზე უნდა გადახვიდე, რომელიც 20 წლის ზემოთაა რეკომენდირებული.

ასე დაბადებიდან დედას ერთი პრეპარატიდან მეორეზე გადავყავდი. ერთიდაიგივე პრეპარატზე დიდი ხნით არ ვჩერდებოდი. დედა ამბობდა, რომ არ შეიძლება, ორგანიზმი ეჩვევა, და პრეპარატი მოქმედებას წყვეტს.

და მართლაც, მოქმედება სუსტდებოდა. სხვათაშორის, შეიძლება იმის გამო, რომ მე აბებს არასოდეს არ ვყლაპავდი, არამედ ვლეჭავდი, სანამ დედა მიყურებდა, შემდეგ კი უნიტაზში ვაფურთხებდი თეთრად, ყვითელად, წითელად შეღებილი ნერწყვის ბუმტუკებს გადალეჭილი პრეპარატებით.

- დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ

- დაიძინე, ჩემო ბიჭუნავ, დედა უკვე მოხუცია იმისთვის, რომ კიდევ ერთი ადოლფი აღზარდოს.

ეკონომისტი გამოხვალ მამაშენივით.
ოღონდ პრეზიდენტი ნუ იქნები,
დაუფასებელი სამუშაოა.

დედას არ აუხსნია
რატომ არის ეს სამუშაო დაუფასებელი,
მაგრამ მე მას დავუჯერე.

დედა ხომ არ იტყუება.

შემდეგ კი მან თქვა:

- სუტენიორი იქნები, სუტენიორები მეტს უხდიან, ვიდრე ეკონომისტებს.

ასე დავიწყე საკუთარი დედით ვაჭრობა.

ვყიდდი ყველა მიმართულებით,

საზღვარგარეთ და თურქეთში.

მე არც ვიცოდი, რომ იქ ყველას დედაჩემი უნდოდა, მხოლოდ ჩემი დედა.

სხვები არ ვარგა.

ამბობენ, სხვებს ასეთი დამყოლი ხასიათი არა აქვთ და ასეთი სიყვარულიც არ იციან.

.....ამის შემდეგ მე საკუთარი დედით ვამაყობდი.....

მე მანამდეც ვიცოდი, რომ ის განსაკუთრებული იყო, ახლა მთლად გავამაყდი, ცხვირიც კი ავწიე.

და მართლაც, ჩვენ დიდი ფული ვიშოვეთ.

თანაც მას რაში ჭირდება?

მას ისედაც

აჭმევენ, ასმევენ ,

ტანსაცმელსაც კი ყიდულობენ,

საცხოვრებელი აქვს,

პანელზე ხომ არ დგას,

მე ყველაფერს ტელეფონით ვაგვარებ.

მოვლენ - წაიყვანენ, მოიყვანენ.

ყველაფერი საათობრივად არის გაწერილი, გრაფიკით

როგორც საჭიროა.

ზუსტადუნდაიცოდე
რადირსშენითითოეულისაათი.
კლიენტურა კი კარგი ავარჩიე,
ნუ, საერთოდ... ყველას დედაჩემი ჭირდება.
დედა კი არც არაფერს თაკილობს.

სანდო ხალხია:
პოლიტიკოსები, ბანდიტები,
თუნდაც ეკონომისტები,
ის ამბობს:

- **ჩემთვის ასაკს და სილამაზეს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია კარგი ადამიანი იყოს.**

-დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ

-ეს სისამაგლე ვინ გასწავლა?!

-საბავშვო ბაღში აღმზრდელმა.

ის ყოველთვის მეუბნება, რომ მე
პატარა ჰიტლერი ვარ, რომ ის
ჩემნაირებს ახრჩობდა, ახრჩობს
და კვლავაც მოახრჩობს
სანამ თვითონ არის
ცოცხალი და სანამ მისი შვილები ცოცხლები არიან.

კიდევ მე გოგონებს ჩემს ჭუჭყუს ვაჩვენებდი, მათ მთხოვეს, აღმზრდელმა ეს დაინახა და ჭუჭყუზე სახაზავი დამარტყა, მითხრა, რომ უფრო დიდი უნდა გავიზარდო. მე არც მიტირია, ოდნავადაც კი. უბრალოდ ისე აღვიგზნე, რომ კიდევ მომინდა. მე აღმზრდელს ასეც ვუთხარი, ის კი ატირდა და გაიქცა.

შემდეგ მანის ფაფას გვაჭმევდნენ. მე კორკოშელა შემხვდა და თეფშზე ამოვარწყყიე, ოღონდ საკუთარ თეფშზე არა, მეზობლისაზე. მაგრამ გოგონამ ვერ შეამჩნია და ჭამა განაგრძო. მაშინ მივხვდი, რომ შენ ყველაზე კარგი ხარ იმიტომ, რომ შენ ყოველთვის *კუბიკებისგან ხარშავ სუფს*, და მასში არასოდეს არ არის კორკოშელები. სამწუხაროა მხოლოდ რომ ნახევარ საათში კლიენტი მოვა და მე ისევ მარტო უნდა დავიძინო.

- დაიძინე, ჩემო ბიჭუნავ.
დედამ ფული უნდა იშოვოს.
შენ უკვე დიდი ხარ, შეგიძლია ზოგჯერ მარტომაც დაიძინო.
დედა კი მალე დაბრუნდება

- სად მუშაობ დედა?

- სუ, ჩუმად. სახლს თხელი კედლები აქვს, მეზობლებმა შეიძლება გაიგონ, და ჭორაობას დაიწყებენ.

მე ღამის ცვლაში ვმუშაობ, შვილო!

მე კი გავიფიქრე, სამწუხაროა, რომ ერთი დედა მყავს, და არა ორი. თორემ ერთი ღამის ცვლაში იმუშავებდა, მეორე კი დღის ცვლაში. და მე დაძინების არ შემეშინებოდა. დედის გარეშე დაძინება საშიშია, დედასთან ერთად კი არა.

ასე კი ღამით დედა სადღაც დაეთრევა, შენ კი საბანს თავზე გადაიფარებ და გეშინია. ტირიხარ, მასზე ნერვიულობ, თავს ღია სარკმელში ყოფ და ყვირიხარ:

- დედა! დედა!

და არავინ არის, არცერთი გამვლელი ზედაც არ შემოგხედავს. საათს დაჰყურებ, უკვე ღამის პირველი საათია, ხალხს ძინავს, შენ კი ყვირიხარ. აი ცოტაც:

-დედა! ოღონდ ოდნავ ჩუმად: - დედა! დედა! დედა!

დილისკენ მოვა, იტყვის, მაპატიე,
შვილო, საცობში მოვხვდი ან
 ავტობუსის ბორბალი ორმოში გაეჩხირა.
შენ კი უნდა დაუჯერო,
 ნუ, თავი მაინც უნდა მოაჩვენო, რომ გჯერა, ასეა თუ ისე დედაა.
 დედის გარეშე დაძინება საშიშია.
 დღისითაც საშიშია სანამ მას ძინავს.
 შენ ხომ არ გძინავს,
 შენ ხომ ღამით არსად არ დაეთრეოდი,
 შენ ხომ ჯერ პატარა ხარ. ის კი წევს
 ტახტზე, ნაზახუსევის და სუნამოს სუნით სუნთქავს.
 ოთახში სინათლეა,
 ფანჯარაში მზე იჩყიტება. დღისით
 ხალხს არ ძინავს. მხოლოდ მიცვალებულებს ძინავთ, მათ კი შუადღემდე
 აპატიოსნებენ, შემდეგ კი დასამარხად მიყავთ. შემდეგ კი ცხოვრების
 ბოლომდე მათ მოსანახულებლად დადიან
 სასაფლაოზე. ბარემ თავისთვისაც ეძებენ ადგილს.
 მახსოვს, ბებიამ თავისი შვილი დამარხა, ბიძაჩემი. რკინის იაფფასიანი ძეგლი
 დაუდგაჯერჯერობით პირველ ხანებში. შემდეგ კი მარმარილოს
 ძეგლი შეუკვეთა.
 ასეთ ძეგლთან კი მისვლაც არ შეგრცხვება.
 კიდევ მაგიდა უნდა დაიდგას და
 სკამებიც. ძველ ძეგლს კი
 ხომ არ გადაადგებს. მაგიდას მიუდგა მეორე მხრიდან,
 ადგილს რომ უდარაჯოს.
 შემდეგ კი მთელი ეს სივრცე
 ალუმინის გალავნით გამოყოფ. აი ასე,
 მიუჯდება მაგიდას, მარცხნივ შვილია, მარჯვნივ კი ცარიელი საფლავეი.
 ვერავინ ვერ შენიშნავს და ადგილს ვერ დაიკავებს, იქ
 ძეგლი დგას, მარცხენაზე უარესი, მაგრამ მაინც,
 ძეგლი დგას და ამ საკითხზე ფიქრს აზრი არა აქვს.
 შემდეგ მიწას გადაწმინდავს, ირგვლივ დაგვის
 და ისევ ზის.
 მაგრამ დიდხანს არ ზის, სახლში ბევრი საქმე ელოდება.
 შემდეგ კი
 ბაბუაც მოკვდა. ადგილი გამოადგა, ტყუილად ხომ არ იეშმაკა ბებიამ,
 ესეც ხომ მიწის საკითხია.
 ახლა მაგიდასთან ზის, მარცხნივ
 შვილია, მარჯვნივ ბაბუა. მაგიდის ამოთხრა ენაწება, კარგი
 მაგიდაა, უკვე სამჯერ არის გადაღებული, ოღონდ საღებავი
 მაინც იყრება, რაღაცნაირი ცუდი ენერგეტიკაა სასაფლაოზე,
 გვამური ენერგეტიკა, ჯერ კიდევ იდგეს მაგიდა.
 მაგიდა რა მოსატანია?
 ჯერ კიდევ სანამ ბაბუა ცოცხალი იყო, ბებია
 სხვენში ორ კუბოს ინახავდა, არ ვიცი, საიდან მოიტანა.
 ამბობს, გადასაყრელად მენანება, ეგდონ.
 ბაბუა რომ მოკვდა, დარჩენილი კუბო გადაადგო. სიკვდილზე
 ფიქრი არ შეიძლებაო, ამბობს.
 დაბრძენდა.

დედას კი ძინავს.

მალე უკვე საღამოა, დედას კი ძინავს.

რაცნაირად მეშინია, ვუყურებ, თითქოს დედაა, მაგრამ მაინც მეშინია. ძინავს. რაცნაირად სწორი არ არის, დღისით ხალხს არ ძინავს.

იქნებ არც არის **ადამიანი**?

აი ორი დედა რომ მყავდეს,

.....ერთი ღამის ცვლაში იმუშავებდა, მეორე კი დღის ცვლაში.....

დედამ გაიღვიძა! ნაზად მაკოცა!

მაგრამ უკვე ტუჩებში აღარ,

და საჭმლის მოსამზადებლად წავიდა,

ჩაიდანი გააცხელა,

ამბობს, ჭამე, შვილო,

შენ ხომ მშვიერი ხარ,

დილიდან უჭმელი ზიხარ ტელევიზორთან,

მშვიერ კუჭზე ხომ მავნებელია.

მე კი პატარა მაგიდასთან ვზივარ,

ვუყურებ - მარჯვენა მხარეს დედაა, მარცხენა მხარეს კი მეორე დედა,

რომელიც უკვე აღარ არსებობს,

ის, რომელიც მე მინდა რომ იყოს.

და ვამბობ:

- ფული მაგიდაზე დადე, ერთ საათში კლიენტი მოვა, შენ კი მე ძილის წინ ანდერსენის წაკითხვას დამპირდი
- შენ თვითონ წაიკითხე, შვილო, მე კი შხაპს მივიღებ. თორემ უკვე სკოლას ამთავრებ და წუთში მხოლოდ 20 სიტყვას კითხულობ

შემდეგ დედა აბორტის გაკეთებაზე დავითანხმე,

რომ კიდევ ცოტა ფული შეგვეგროვებინა და ახალი ბინა გვეყიდა.

დედა დამთანხმდა, ამბობს:

- ორი ბავშვის გამოკვებვას ვერ გავქაჩავ, ეს უკვე ნამეტანია ქუჩაში «Вечерний Звон»-ს მღეროდნენ, დედა მომეხვია, მაკოცა, და დამეძინა.

და სიზმარი მესიზმრება, ყველა ქვეყნის პრეზიდენტი ესწრება აუქციონს, რომელზეც მე ირგვლივ აფეთქებების ხმაური ისმოდა, ეკლესიებიდან გამოტანილ ზარებს ტყვია-წამლად ადნობდნენ. ზეცაში და დედამიწაზე ბრძოლა არ წყდებოდა. უცხოპლანეტელები მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლოებებით ვაჭრობდნენ. საკუთარ დედას ვყიდი. ზამთარი იდგა, თხრილს ვთხრიდი გამნალმველის ნიჩბით. ზეციდან გაუტამა ჩამოვიდა გამნალმველის ნიჩბით, ოღონდ მას ოქროს ნიჩაბი ჰქონდა, ისიც თხრილს თხრის. ოღონდ მე მასზე უკეთესად ვთხრი, იმიტომ რომ მე ჩემს მიწა-წყალს მტრისგან ვიცავ, ის კი მხოლოდ იმისთვის, რომ თხრა ისწავლოს. ღმერთმა ხელი მოუმართოს, თხაროს რამდენიც გაუხარდება, ჩემი რა მიდის. თხრის, მიყურებს მე როგორ ვთხრი, ჩემს მოძრაობებს იმეორებს და მეუბნება:

- არ გაყიდო დედა, არ გაყიდო, საკუთარი დედის გაყიდვა სწორი არ არის. თუ დაყოლიებას შეეცდებიან, უთხარი რომ გადაიფიქრე. რამდენი ფულიც არ უნდა შემოგთავაზონ, არ აიღო, თუ დაგემუქრებიან, უთხარი, გაუტამა ჩამოვა, ის ყველაფერს გაარკვევს. თუ იკითხავენ ვინ არის გაუტამა, უთხარი, რომ თვით ბუდა გაუტამა.

სწორედ ასე ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერეს, მაიძულეს, რომ გარიგებაზე ხელი მომეწერა. მე მათ დედას ვამლეგ, ისინი მე ნავთობის ჭაბურღილს. მე ვამბობ, რა ჯანდაბად მინდა ნავთობი? დიდი ხანია უკვე მთელი ტრანსპორტი წყალზე მუშაობს. არა, ყველა ქვეყანაში თითო ჭაბურღილი აიღეო. ვამბობ:

- ჩინეთში რომელი ნავთობია?

ისინი ამბობენ:

- რომ იცოდე როგორი ნავთობია! ცისფერი ელიტური, უმაღლესი დონის, კეთილშობილი სახეობის, მერე მადლობასაც გვეტყვი, აიღე.

მე თვითონაც ვერ შევამჩნიე, ხელი როგორ მოვაწერე, შთამაგონეს თუ რა, მე ხომ არ მინდოდა, ელიტურს დავხარბდი, ალბათ. გაუტამასთან წავედი საჩივლელად, მეუბნება:

- რატომ მოაწერე? ხელი რომ არ მოგეწერა, შველა კიდევ შეიძლება, ეხლა კი მორჩა, ვეღარ გიშველი, რაც მიწაზეა ხელმოწერილი, ზეცაშიც იგივეა.

ოჰ, დედა, შენ გამო გული მტკივა.
 როგორ ხარ იქ?
 ვიცი, რომ განურჩევლად ყველასთან წევხარ,
 მაგრამ საშველი უკვე ახლოსაა,
 ეხლავე თხრილს დავამთავრებ თუ არა.
 მე ხომ გეუბნებდი, დედა,
 უცხოელებთან საქმეს ნუ დაიჭერ,
 საკუთარი კლიენტები ცოტაა თუ რა!

შენ მაინც ვერ გაიგებ. შენ იქ კარგად ხარ ვიღაცასთან ჩახუტებული, მე კი აქ ვარ სანგარში, ცივა და მიწა ორი მეტრის სიღრმეზეა გაყინული. იქ კი ჩემი ნავთობ-ჭაბურღილები იწვის, იმიტომ რომ ყურადღებას არავინ არ აქცევს, ირგვლივ კი მარადიორები არიან. ეს როგორ გამოდის? ხალხი ადამიანურად ცხოვრობდა, დაიწყო თუ არა ომი და მაშინვე მარადიორები? და მერე ვინ? ჩვენიანები! ყველაზე წყნარები, ყველაზე მეტად პატიოსან და წესიერ ადამიანებად რომ ითვლებოდნენ.

ეს ყველაფერი იმიტომ დედა, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად ჩვენ ქურდობა გვიყვარს. სხვისი ხომ ყოველთვის უფრო გემრიელია. სტუმრად ყველაფერი უფროს გემრიელია, კარაქიანი პურიც კი ისეთი გემრიელია, თანაც ჩაისაც თუ დააყოლებ. ყოველთვის ზიხარ და ფიქრობ, ნეტა ყველანი დაიხოცებოდეთ, მთელ თქვენს პურს მე შევჭამდი, მთელ თქვენს კარაქს, და ჩაისაც მთლიანად დავლევი, სანამ ბოლომდე არ დავლევი, არ წავიდოდი, სულ რომ აქვე აყროლებულიყავით. დამატებას ხომ ვერ მოითხოვ, გერიდება, და თუკი თვითონ დაგიმატებენ, მაშინ ისე დაგიმატებენ, რომ ყელში გაგეჩხირება. ამიტომ უნდა მოკლა და ყველაფერი შეჭამო, ყველაფერი, რაც რაციონით გეკუთვნის, ყველაფერი, რასაც ორგანიზმი მოითხოვს. სახლში დაბრუნდები და, იგივე პური და იგივე კარაქი, იგივე ფირმის, ჩიაც პაკეტებში ზუსტად ისეთივეა, სახელწოდება სპეციალურად ჩავიწერე, რომ მეყიდა, მაგრამ რაღაცნაირად არ მინდა, ისეთი გემრიელი არ არის და მადაზეც არა ვარ, რაღაც განსაკუთრებული მინდა, გესმის, დედა, გაუმამდრობა, ხომ გესმის.

////////////////////გავიღვიძე, დედა კი არსად არის. კარზე კაკუნია,
 დედა:////////////////////

- გასაღები დამრჩა, ამბობს.
 მაღლობა, რომ გამიღე, მე ისე დავიღალე, წავალ
 დავიძინებ, შენ კი ჭამე, სუპი მხოლოდ გუშინ მოვხარშე, ჯერ კიდევ ახალია.

მანიშნებელი სიზმარი იყო. მე ის სამზარეულოში ბლოკნოტში ჩავიწერე, დედას ვუთხარი, რომ უკვე ვჭამე, თვითონ კი ტელევიზორი ჩავრთე. მე საერთოდ მხოლოდ რეკლამას ვუყურებ ხოლმე. რეკლამიდან შეგიძლია მიიღო ინფორმაცია ყველაფრის შესახებ, რაც მსოფლიოში ხდება, ესტეტიკური სიამოვნების მიღებაც კი შეგიძლია, სექსუალური კმაყოფილების მიღებაც კი.

დედას კი ძინავს და ესიზმრება, რომ მას საკუთარი შვილი აუპატიურებს, და თანაც ისე მხეცურად, თითქოს არც არის დედამისი. მას უკვე მრავალი წელია ერთი და იგივე სიზმარი ესიზმრება.

- დილა მშვიდობისა, დედა, რა დაგესიზმრა?
- არც არაფერი, ღრმად მეძინა. შენ რას აკეთებდი მთელი დღე?
- მე ტელევიზორს ვუყურებ

მალე თვალები ამოგცივდება, სასწრაფოდ გამორთე! წამოდი, ვისაუზმოთ

-დედა, მეპატარაპიტლერივარ
-დაიძინე, შვილო, დედამუკვეგამოიძინა, ეხლაშენდაიძინე

მაგრამ მე არ დავიძინე, თავი მოვიმძინარე, მაგრამ არ დავიძინე.

კლიენტი მოვიდა და დედა სახლში ემსახურებოდა,
სამზარეულოში, მთელიღამისგანმავლობაში.
ჩვენ ერთოთახიანიბინაგვაქვს.

- დედა, რად გვინდა ასე ბევრი ფული?
- რომ იყოს.
- რისთვის უნდა იყოს?

- გაიზრდები, გაიგებ.

დედა მთელი ღამე ოხრავდა სამზარეულოში, მე კი მთელი ღამე ვუსმენდი,
როგორ ოხრავს დედაჩემი. ღამაზად ოხრავს,
ჩემი დედიკო ღამაზად ოხრავს, ჩავწერე მე ბლოკნოტში.

- დედა, მე რომ შენი შვილი არ ვიყო და მდიდარი ვიყო, შენ ცოლად გამომყვებოდი?
- გამოგყვებოდი, თუკი სიყვარულით იქნებოდა. მე უსიყვარულოდ არ შემიძლია, არ ვეგზნები

დედა სამი დღე-ღამის განმავლობაში სახლში არ დაბრუნებულა. მერე უბნის რწმუნებული მოვიდა, მითხრა, რომ დედა აღარ არის, რომ მე სახლში მარტო ვრჩები.

შემდეგ მილიცია მოვიდა, სახლი გაჩხრიკეს, ნარკოტიკებს ეძებდნენ.

ერთ კვირაში დედა დაბრუნდა, ძალიან ბედნიერი, მითხრა, რომ მკვლელობაზე იჯდა ციხეში, მაგრამ

ის გაამართლეს, თქვა, რომ მერე სასამართლოც კი ყოფილა. მე კი ასეც ვიცოდი, იმიტომ რომ დედას ყველგან აქვს კავშირები, ყველგან ჰყავს თავისი ხალხი. მე მაშინ არც დავიჯერე, რომ დედა აღარ არის, არამედ ველოდებოდი, ველოდებოდი, და დედა დაბრუნდა. ეს ხომ მართლაც ჩემი დედიკოა, ჩემი საყვარელი დედიკო.

- დედა, ჰიტლერს **მართლა** უნდოდა მთელი მსოფლიოს დაპყრობა?

- **მართლა.**

- და მართალია, რომ ჰიტლერმა მოაწყო შიმშილობა,

მერე კი ყველაფერი სტალინს დააბრალა,

და თავს დაესხა რუსეთს

რომ თავისი ბეზიის გამო შური ეძიებინა, რომელიც

კურორტზე წასულა დასასვენებლად,

მაგრამ შიმშილისგან დასიებულა?

- **მართალია,**

.....ოღონდ ბეზიამისი აქ არაფერ შუაშია.....

ბოროტი ენები

ამბობენ, რომ ჰიტლერი ასევე უბიწო

ჩასახვის შედეგად დაიბადა. ხოდა,

შემდეგ კი ის მთელი სიცოცხლის მანძილზე შურს იძიებდა,

ოღონდ ბეზიის გამო კი არა,

თავისი დედის გამო, რომელიც სტალინის საყვარელი

იყო, რომელსაც ის სიკვდილის შიშით აიძულებდა გაეკეთებინა

აბორტი... მაგრამ დედამ სტალინს არ დაუჯერა

და თავისი ბავშვის გულისთვის გერმანიაში გაიქცა

და იქ მოქალაქეობა მიიღო.

მე ზუსტად ასევე მოვიქცეოდი შენ გამო,

პატარავ. აი ასე,

შვილი კი გაიზარდა და შურისძიება დაიწყო იმის გამო

რომ ის მემკვიდრეობის გარეშე დატოვეს... თქვენ რა

ეს სკოლაში ჯერ კიდევ არ გაგივლიათ?!

- **მე ხომ მხოლოდ პირველ კლასში ვარ!**

- **ა.. საერთოდ შეგეძლო თვითონაც დაინტერესებულიყავი და წიგნებში ამოგეკითხა**

დედა კი
ამბობდა:

- არა უშავს, ჩვენ შევძლებთ, აუცილებლად შევძლებთ... მილიონ დოლარს ვიშოვით და ამ ქვეყნიდან სამუდამოდ გადავბარგდებით. ბედნიერად ვიცხოვრებთ, ფულს თავისუფლად დავხარჯავთ. წავალთ და არასოდეს აღარ დავბრუნდებით.

იქ ზღვების გადაღმა,
ლურჯი სივრცეების გადაღმა
არის ქვეყანა,
სადაც მილიონ დოლარად შეგიძლია სრულიად უზრუნველყოფილად იცხოვრო,
შენს შვილებსაც კი ეყოფათ.
იქ ისეთი ბანკებია
რომ არასოდეს არ მოგატყუებენ, და უზარმაზარი პროცენტებია,
ათი პროცენტი წლიური, წარმოიდგინე. შეგიძლია უბრალოდ კი არ იცხოვრო,
არამედ ყოველი დღე სიხარულით აღსავსემ გაატარო. ის იქ
მაღაზიებში იყიდება.
წარმოგიდგენია, შვილო,
სიხარული და უცებ მაღაზიებში! მე ამის შესახებ
გაზეთში წავიკითხე, რას არ დაწერენ. ჩვენ
აუცილებლად გაგვიმართლებს!

დედა ასე ხუმრობდა. მაგრამ ჩვენ საერთოდ არ გვეცინებოდა. დედას თვალეზზე ცრემლები მოადგა, დედამ თქვა, რომ ეს სიხარულის ცრემლებია, მე ტელევიზორი ჩავრთე, დედას უკვე მიწავს, მე მას ვუყურებ და მეშინია. ეს ჩემი დედაა, სამსახურში ისე იღლება...

ტელეფონის ზარი კი არ წყდება, კლიენტები რეკავენ და რეკავენ, დედაჩემის ნახვა უნდათ. მაშინ ჯერ კიდევ ყველას უნდოდა დედაჩემი. მე კი ისე შემეცოდა, რომ გადავწყვიტე დასვენების დღე გამომეყო მისთვის. კვირაში ერთხელ ვიფიქრე, ორშაბათობით, მაგრამ ზარალი დავთვალე და გადავწყვიტე, რომ თვეში ერთხელ უკეთესი იქნებოდა, მაგრამ სამშაბათობით. დედა კმაყოფილი დარჩა, მითხრა, რომ მე საუკეთესო შვილი ვარ.

- დედა, მე პატარა ჰიტლერი ვარ

- დაიძინე შვილო. მამიკო ომიდან არ დაბრუნდა, იმიტომ რომ საბრძოლველად გამოუძინებელი წავიდა. მთელი ღამე ქალებში დაეთრეოდა, დილით კი გერმანელები მოვიდნენ და ყველა დახვრიტეს, მთელი მათი მძინარე გუნდი ქალებთან ერთად. ასე რომ შენ კარგად უნდა გამოიძინო ხოლმე. და დაიმასხოვრე, საბრძოლველად გამოუძინებელი არ წახვიდე, უმჯობესია ხის უკან დაიმალო და გამოიძინო დღე-ღამეში საჭირო 8 საათი. მამაშენმა კი არ დამიჯერა, ამიტომაც დაიღუპა. მამა ცუდი მებრძოლი იყო. შენ კი საუკეთესო მყავხარ.

- დედა, რა არის ჩრდილოეთის ციალი?

ვიძინებდი და ვუსმენდი, დედა კი მიყვებოდა:

- ეს არის როცა ყველაფერი კარგად არის,
როცა ბევრი ფული გაქვს,
როცა შენ საყვარელი დედიკოს გვერდით იძინებ,
როცა შენს საოჯახო აფთიაქში ყველა აუცილებელი წამალი დევს,
ნებისმიერი შემთხვევისთვის,
ყველა დაავადების სამკურნალოდ -
ეს არის ჩრდილოეთის ციალი.
როცა სული დედამიწის ირგვლივ დაფრინავს
და ირჩევს, ვისი სახით დაიბადოს,
კაცად თუ ქალად -
ეს არის ჩრდილოეთის ციალი.
ეს არის როცა გალუწილი მთვრალი ხარ,
მაგრამ თავს ჯერ კიდევ აკონტროლებ,
ტაქსს აჩერებ
და საკუთარ მისამართს სწორად ეუბნები,
მერე ნებისყოფა გყოფნის, რომ 20 წუთის განმავლობაში არ აღებინო,
შემდეგ კი ტაქსის მძღოლს ფული გადაუხადო.
ჩრდილოეთის ციალი -
ეს არის როდესაც ახლობელი ადამიანები გყავს,
რომლებიც ძალიან ძალიან გიყვარს,
მათზე ზრუნავ, და ყველაფერს ისე აკეთებ, რომ მათ არ აწყენინო.

**უბრალოდ სიმართლეს ბოლომდე არ უყვები,
ცოტას უთქმელს ტოვებ და ყველა კარგად არის,
მთავარია საჭირო ადგილზე გაჩერდე.**

ჩრდილოეთის ციალი -
ეს არის როცა შენ საკუთარი შვილის
სიკვდილს მოესწრები და გადაიტან, შემდეგ კი
ქმრის ან ცოლის სიკვდილს, შენ თვითონ კი
სიცოცხლეს აგრძელებ, და კიდევ მიზეზებსაც პოულობ იმისთვის
რომ სიცოცხლე გიხაროდეს.

**გამოცდილება, შვილო, წლებთან ერთად მოდის, 20 წელი - ეს ჯერ კიდევ ვადა არ არის,
20 წელი - ეს მხოლოდ გზის დასაწყისია.**

ჩრდილოეთის ციალი -
ეს არის როცა დედაშენთან გძინავს, მერე კი
ყიდი მას, რომ სხვა კაცებს
ეძინოთ მასთან. დედას კი ისევ ისე
ძლიერად უყვარხარ
და არაფრისთვის არ განგსჯის -
ეს არის, შვილო, ჩრდილოეთის ციალი.
ჩრდილოეთის ციალი -
ეს არის, შვილო, როცა
ცოცხლობ, და შენ კი გეჩვენება, რომ კვდები,
და ასე 20 წლის განმავლობაში.

ეს არის როდესაც შენ ქუჩაში გადიხარ, ირგვლივ კი ადამიანები შიმშილისგან სივდებიან,
შენ კი გვამებს აბიჯებ და გზას აგრძელებ.
ტელევიზორში კი აცხადებენ, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ არავინ არის დამნაშავე,
რომ უბრალოდ წელს მარცვლეულის ცუდი მოსავალია იმის გამო, რომ დიდი ხანია წვიმა არ
მოსულა.

შენ კი ხედავ, რომ ეს ტყუილია,
რომ
წუთები
სეტყვასავით იყრება,
დღეები
წვიმასავით მოდის
წლები კი
ნისლად იდება.
შენ ხომ ხედავ,
შენ ხომ ბრმა არა ხარ.
სწორედ ეს არის, შვილო,
ჩრდილოეთის ციალი.
შენ კი საუკეთესო მყავხარ.
სწორედ შენ ხარ, შვილო
ჩემი
ჩრდილოეთის ციალი.
დაიძინე.
დედა კი იტირებს,
სანამ შენ გძინავს,
სულ ოდნავ,
სანამ შენ ვერ ხედავ.
სწორედ ეს არის, შვილო,
ჩრდილოეთის ციალი.
ცს...ს...ს...ს...ს...

ხარკოვი, 2008 წელი. rotkaer@mail.ru